ხელშეკრულება № 185
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. თბილისი 04 ივლისი 2018 წ.

ერთი მხრივ, სსიპ „ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი" (შემდგომში – "შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის თამარ ლორთქიფანიძის სახით და მეორე მხრივ, ფიზ/პირი „ნოდარ ბენაშვილი" პირადი ნომერი 01005021288 (შემდგომში – "მომწოდებელი'), ორივე ერთად წოდებული როგორც მხარეები, ვხელმძღვანელობთ რა"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს'" ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვით გზით შენობის ელექტრო და მექანიკური მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურების შესყიდვა, CPV50700000

მომწოდებელი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს სსიპ „ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის" ექსპერიმენტული დარბაზში არსებული გაგრილება-გათბობის დანადგარის შეკეთება.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში;

2.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს: 900.00 (ცხრაასი ლარი ნული თეთრი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

3. ხელშეკრულების ხარისხი და გარანტია

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

3.2. ხელშეკრულებით გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ სფეროში მოქმედი ხარისხის სტანდარტებს, არ უნდა იწვევდეს ხარვეზებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით აწარმოებს ხაზრვეზის აღმოფხვრას.

4. მომსახურების ვადები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა - ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის შესაბამისად.

4.2. მომსახურების გაწევის ვადა : ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 ივლისისა.

4.3. მომსახურების გაწევის ადგილი: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის 99/1 სსიპ „ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი".

5. ხელშეკრულების მიღება–ჩაბარების წესი

5.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება ჩაითვლება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

5.2. ამ შემთხვევაში თუ გაწეული მომსახურება გამოდგება უხარისხო/დეფექტიანი ან სხვა ობიექტური ნუნის მქონე, შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მომწოდებელს ხარვეზების გამოსწორება არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში;

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორების წყაროს წარმოადგენს : საკუთარი შემოსავლები

6.2. ხელშეკრულების ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით;

6.3. ანგარიშსწორების განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.1 მითითებული დოკუმენტაციის წარდგენიდან, არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

7.1. მემსყიდველს უფლება აქვს:

- ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
- მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე შეამოწმოს მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით

ოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.
- დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის ან შესრულების სავარაუდო დაგვიანების თაობაზე;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

8.2. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, მეორე მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში დამრღვევი მხარე ვალდებულია გადაიხადოს ჯარიმა შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების/გადასახდელი თანხის 0.02%–ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

8.3. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინაე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2018 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების მიმართ, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია,თუა ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, გარდა საქართველოს კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

10.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების თავდაპირველი ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია 10%-მეტი ოდენობით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ხელშკრულების დამდებ არცერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. ფორს–მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავინთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ;

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე;

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს–მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის

14. ხელშეკრულების შემოწმების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია გაწეული მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და მოთხოვნებთან;

14.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველო ორგანიზაციის მხრდან განახორციელებს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის მოადგილე სადადგმმო დარგში გრიგოლ ბერაძე

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან/და დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით;

15. სხვა პირობები

15.1. არც ერთ მხარეს აქვს უფლება თავისი უფლებები და მოვალეობები გადასცეს მესამე პირს, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

15.2. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

15.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი ინახება მიმწოდებელთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

15.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

შემსყიდველი: სსიპ „ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი" მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. #99/1 ს/კ 202063989 მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში ბანკის კოდი: TRESGE22 მიმღების ანგარიში/ სახ ხაზინ. კოდი_ 708199800 დირექტორი: _____ /თ.ლორთქიფანიძე/	მიმწოდებელი: ფიზ/პირი „ნოდარ ბენაშვილი" პირადი ნომერი 01005021288 მის:ქ.თბილისი,დიღმის მასივი მე-4 კვარტალი. მიმღები ბანკი: სს „თიბისი ბანკი" ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ნ GE88TB7273745061600005 _____

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, „სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი“-ის დირექტორი თამარ ლორთქიფანიძე ხელის მოწერით ვადასტურებ, რომ 2018 წლის 04 ივლისს გაფორმებული N185 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის განხორციელებაში ფიზიკური პირი "ნოდარ ბენაშვილი"ს (პირადი: 01005021288) მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

თეატრის დირექტორი : /თამარ ლორთქიფანიძე/